

მეისი ჩასწორება

12/05_2020

გვ.31 | მუხლი 8.2.ა ▶ კარის ძელის | შალითის ძირში ბურთის დამიწება ლელო აღარაა!

უსაფრთხოება – "მსოფლიო რაგბის" საზრუნავი

15/01_2020

"მსოფლიო რაგბი" განუხრელად რომ ზრუნავს მოთამაშეთა უსაფრთხოებაზე – მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, სულ სხვადასხვა დონეზე ცდის ხოლმე ახალ იდეებს

რაგბი კონტაქტური სპორტია. ტრავმათაგან ყველაზე სახიფათო ტვინის შერყევია. ბოლო ხანს მიღებულ ზომათა წყალობით, ელიტარულ დონეზე ამგვარი დაზიანების სიხშირემ 15 პროცენტით იკლო, რაც მოთამაშეთა მიერ ხიფათის გაცნობიერებითა და ქცევის შესაბამისი შეცვლით აიხსნება

ტრავმათა უმთავრესი წყარო ბოჭვაა – მასზე მოდის დაშავებათა ნახევარი და შერყევათა 76 პროცენტი. კვლევით დადგინდა, რომ ტვინი, ბურთიან შემტევეზე მეტად, ერყევა დამცველს ანუ მბოჭავს – უბედურ შემთხვევათა 72 პროცენტში

არადა, მსოფლიო თასის დაწესების [1987] შემდეგ გასულ სამ ათწლეულში თუ ბურთაობის საშუალო დრომ მხოლოდ 50 პროცენტით იმატა და 35 წუთს უწია – ბოჭვათა რაოდენობა სრული 250 პროცენტით გაიზარდა, რითაც თამაში ბევრად უფრო სარისკო გახდა

ორი მიმართულებით

რაგბი ამგვარი პრობლემის წინაშე ხომ დგას და ტექნიკურ-ტაქტიკური განვითარებისთვის ჯერაც საკმაო მარაგი გააჩნია. ამეხების გამოა, რომ "მსოფლიო რაგბი" 4-წლიანი ციკლით იგონებს ახალ წესებს და ვიდრე მათ ყველგან დანერგავდეს, ჯერ ბევრგან და საგულდაგულოდ ცდის

საქართველოში ამ ექსპერიმენტებს მსაჯთა განსწავლის მენეჯერი, ლუკა კილასონია ხელმძღვანელობს. სწორედ მისი თაოსნობით მოეწყო 2019 წლის 17 ივლისს კავშირის ოფისში თათბირი, რომელშიც მონაწილეობდნენ:

რაგბის გავრცელების დირექტორი გია ღლონტი; საშეჯიბრო სამსახურის უფროსი ნიაზ მამრეკიშვილი; 20წ ნაკრების ხაზის მწვრთნელი ლადო კილასონია; წესთა ქართულად მთარგმნელი ზაალ გიგინეიშვილი

თათბირზე ცხარე კამათი გაიმართა მორიგ დაბლინურ წინადადებათა გამო; შემოთავაზებული ექვსი მიმართულებიდან აირჩა მხოლოდ ორი – "ფეხით თამაში" და "დაბალი ბოჭვა"; ბოჭვაშიც შემოთავაზებულ შეზღუდვათა ბარემ ნახევარი უარყოფილ იქნა; დროულად მომზადდა სათანადო მეთოდ-მასალა და აიტვირთა კავშირის საითხე, და ანალიზის მექანიზმიც შემუშავდა

კილასონიას დასკვნა

მას აქეთ, შარშან სექტემბრიდან, ჭაბუკთა "ა" და "ბ" ლიგებში და ბავშვთა ფესტივალებზე იცდება ეს სიახლეები. მენეჯერმა კილასონიამ შემკვეთს ექსპერიმენტის შედეგი და პირუთენელი დასკვნაც მარტში უნდა წარუდგინოს, მაგრამ ნახალწლევს "მსოფლიო რაგბმა" ჩვეულ ყაიდაზე რომ გაიმეორა ნახევარი წლით ადრე უკვე დაწერილი და კავშირებს გამოხმაურებაც მოსთხოვა – კომენტარისთვის ბატონ ლუკას მივმართეთ

კილასონიას თანახმად, ცდამ დიდადაც ვერ გაამართლა. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ტრავმიანობა შემცირდა 10 პროცენტით, მაგრამ ბოჭვის მეთოდის შეზღუდვას [3.2 ნაკვეთი] უხალისოდ შეხედნენ მოთამაშეებიც, მწვრთნელებიცა და მსაჯებიც. თავიდან რამდენიმე გაუგებრობაც მოხდა; მერე თანდათან დალაგდა ყველაფერი, მაგრამ ჩვენი რაგბის თემის აზრი ეგაა, რომ 16 წლის ბიჭს ბავშვობაში ნასწავლს მერე ვეღარ გადააჩვევ

"ფეხით თამაშის" წესის მორიგ გართულებასაც [3.1] არ მოჰყოლია ხელ-შესახები შედეგი – 50 მატჩში სულ ორჯერ დაირტყა "50::22", რაც გასაკვირი არაა, რადგან 13-კაცა რაგბში იგივე პრინციპი 20 წელზე მეტია, რაც მოქმედებს, და ელიტარულ დონეზე მოზურთალი დიდოსტატებიც კი საშუალოდ 12 მატჩში ერთხელ აღწევენ მიზანს